

www.gegroup.org

# მდინარე იორის წყალშემკრები აუზის

# კლიმატი და ჰიდროლოგია

Tel: +99532 2399150

E-mail: info@gegroup.org

GEG
GROSS ENERGY GROUP

# დამკვეთი

Walnuts.ge

თარხნიშვილის ქ. #16, თბილისი, საქართველო

მობ.: +995 595 01 70 89

# შემსრულებელი

**შპს გროს ენერჯი ჯგუფი**

ვიქტორ დოლიძის ქ. #24,

თბილისი, საქართველო 0171

ტელ: +995 322 399 160

ელ-ფოსტა: info@gegroup.org

ვებ-გვერდი: www.gegroup.org

შენიშვნა:

წინამდებარე ანგარიში მოამზადა საკონსულტაციო კომპანია "გროს ენერჯი ჯგუფმა" და უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც შეთავაზება საპროექტო სამუშაოსათვის. ეს დოკუმენტი შედგენილია მხოლოდ ამ პროექტის მიზნისთვის.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე მომზადებული წინამდებარე ანგარიშის გამოყენების უფლება არ აქვს სხვა მხარეს, გარდა უფლებამოსილი პირისა. იმ შემთხვევაში თუ, ეს დოკუმენტი გამოყენებული იქნა სხვა მიზნებისთვის, კომპანია პასუხს არ აგებს მასში აღმოჩენილი ხარვეზებისა და შეცდომების გამო.

ამასთან წინამდებარე ანგარიში შეიცავს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რაც წარმოადგენს ინტელექტუალურ საკუთრებას. ამდენად, შემსრულებლის წერილობითი თანხმობის გარეშე, დაუშვებელია ამ დოკუმენტის გადაცემა მესამე მხარისათვის, გარდა უფლებამოსილი პირისა.

## რედაქტირებული გამოცემა

| გამოცემა | თარიღი | ავტორი | რედაქცია | დამოწმება | აღწერა |
|---|---|---|---|---|---|
| A | მარტი, 2021 წელი | სხვადასხვა | დ. ბოლქვაძე | ა. ტყებუჩავა | პირველი გამოცემა |

შემსრულებლები:

| | |
|---|---|
| ჰიდროლოგი | დალი ბოლქვაძე |
| ჰიდროლოგი | თორნიკე ხოხონიშვილი |
| გენერალური დირექტორი | ანგული ტყებუჩავა |

# სარჩევი


**სიმბოლოთა განმარტება ... 7**

**1 კლიმატი და ჰიდროლოგია ... 8**

1.1 მდინარე ივრის აუზის ზოგადი მიმოხილვა ... 8

**2 მეთოდოლოგია და წყაროები ... 13**

**3 კლიმატი ... 14**

3.1 ჰაერის ტემპერატურა ... 17

3.2 ატმოსფერული ნალექი ... 19

3.3 ჰაერის სინოტივე ... 19

3.4 ქარი ... 21

**4 მრავალწლიური საშუალო ხარჯი ... 23**

**5 მინიმალური ჩამონადენი და გარემოსდაცვითი ხარჯი ... 34**

5.1 მინიმალური ჩამონადენი ... 34

5.2 გარემოსდაცვითი ხარჯი ... 37

**6 მყარი ნატანი ... 39**

**7 გამოყენებული ლიტერატურა ... 42**


## ცხრილების სია


ცხრილი 2.1 იორის აუზში განლაგებული მეტეოროლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურები ... 13

ცხრილი 3.1 კლიმატის კლასიფიკაცია, ჰაერის წლიური საშუალო ტემპერატურა და ნალექი ... 14

ცხრილი 3.2 კლიმატის დაკვირვებული მონაცემები ... 15

ცხრილი 3.3 ნალექისა და ტემპერატურის ამპლიტუდა ... 15

ცხრილი 3.4 ყველაზე მშრალი და უხვნალექიანი თვე და რაოდენობა ... 16

ცხრილი 3.5 თვე და სიდიდე, მაღალი და დაბალი ტემპერატურის დროს ... 17

ცხრილი 3.6 ჰაერის ყოველთვიური და წლიური საშუალო ტემპერატურა, °C ... 17

ცხრილი 3.7 ჰაერის ყოველთვიური და წლიური უმცირესი აბსოლუტური ტემპერატურა, °C ... 18

ცხრილი 3.8 ჰაერის ყოველთვიური და წლიური უდიდესი აბსოლუტური ტემპერატურა, °C ... 18

ცხრილი 3.9 ყინვიანი დღეების დაწყება და დამთავრება ... 18

ცხრილი 3.10 თვიური და წლიური ატმოსფერული ნალექი, მმ ... 19

ცხრილი 3.11 წყლის ორთქლის დრეკადობა, ჰპა ... 19

ცხრილი 3.12 ფარდობითი სინოტივე, %......................................................................................................20
ცხრილი 3.13 სინოტივის დეფიციტი, ჰპა. ...................................................................................................20
ცხრილი 3.14 თოვლის საფარი ...................................................................................................................20
ცხრილი 3.16 ქარის მიმართულება და შტილი,%.........................................................................................21
ცხრილი 3.17 თვიური და წლიური ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წმ ............................................................22
ცხრილი 3.18 ქარის უდიდესი სიჩქარე სხვადასხვა უზრუნველყოფით, მ/წმ..............................................22
ცხრილი 4.1 სიონის წყალსაცავიდან გამოშვებული წყლის ყოველთვიური და წლიური საშუალო ხარჯი, მ$^3$/წმ ..........................................................................................................................................23
ცხრილი 4.2 სიონის წყალსაცავიდან გამოშვებული წყლის ხარჯი პროცენტული უზრუნველყოფით, მ$^3$/წმ...........................................................................................................................24
ცხრილი 4.3 წყალშემკრები აუზის პარამეტრები ..........................................................................................28
ცხრილი 4.4 პროცენტული განაწილება თვეების მიხედვით, %.......................................................................30
ცხრილი 4.5 მრავალწლიური საშუალო ხარჯის განაწილება თვეებში (პროცენტებით), მ$^3$/წმ........30
ცხრილი 4.6 მრავალწლიური ხარჯის განაწილება სეზონებში (პროცენტებით), მ$^3$/წმ ....................30
ცხრილი 4.7 მდ. ივრის წყლის სხვადასხვა უზრუნველყოფით წყლის ხარჯი, მ$^3$/წმ........................31
ცხრილი 4.8 მრავალწლიური წყლის საშუალო ხარჯის,10-, 50-, 75-, 90%-იანი ხარჯის მნიშვნელობა ..........................................................................................................................................32
ცხრილი 4.9 წყალსაცავის ქვემოთ არსებული შენაკადების წლიური ხარჯის გადანაწილება პროცენტული უზრუნველყოფით, მ$^3$/წმ .....................................................................................32
ცხრილი 4.10 სხვადასხვა უზრუნველყოფით წლიურის ხარჯის განაწილება სეზონებში, მ$^3$/წმ....32
ცხრილი 5.1 მორფომეტრიული პარამეტრები და კოეფიციენტები.............................................................37
ცხრილი 5.2 მდ. ივრის (▼464.7 მზდ) კვეთში დღე-ღამური, 10- და 30-დღიანი მინიმალური ხარჯის უზრუნველყოფა, მ$^3$/წმ ...........................................................................................................37
ცხრილი 5.3 გარემოსდაცვითი ხარჯის განაწილება......................................................................................38
ცხრილი 6.1 მყარი ნატანის პარამეტრები ....................................................................................................41

## ფიგურების სია

ფიგურა 3.1 კლიმატური დიაგრამა...............................................................................................................16
ფიგურა 3.2 ტემპერატურის გრაფიკი...........................................................................................................17
ფიგურა 4.1სიონის წყალსაცავიდან გამოშვებული წყლის ხარჯის 10-, 50-, 75-, 90%-იანი უზრუნველყოფით დიაგრამა ...................................................................................................................25
ფიგურა 4.2 რაიონები ჩამონადენსა და აუზის საშუალო სიმაღლეს შორის დამოკიდებულების მიხედვით.......................................................................................................................................................26
ფიგურა 4.3 ჩამონადენის ფენისა და აუზის საშუალო სიმაღლეს შორის დამოკიდებულების მრუდი ..........................................................................................................................................................26
ფიგურა 4.4 მდ. იორის (▼464 მზდ) წყალშემკრები აუზი...........................................................................27
ფიგურა 4.5 დარაიონების რუკა....................................................................................................................29
ფიგურა 4.6 წლიური ნაკადის ჩამონადენის ვარიაციის კოეფიციენტის დარაიონების რუკა..........31
ფიგურა 4.7 ზემო სამგორის არხს ქვემოთ არსებული შენაკადების წყლის ხარჯის 10-, 50-, 75- და 90%-იანი უზრუნველყოფით ჰიდროგრაფი.........................................................................................33

ფიგურა 4.8 ზემო სამგორის არხს ქვემოთ არსებული შენაკადების წყლის ხარჯის 10-, 50-, 75- და 90%-იანი უზრუნველყოფით დიაგრამა ....................................................................................... 33
ფიგურა 5.1 რაიონების რუკა (a და b) პარამეტრების მნიშვნელობებისათვის ................................... 35
ფიგურა 5.2 რაიონების რუკა ჩამონადენის ბუნებრივი რეგულირების კოეფიციენტისათვის ........ 36
ფიგურა 6.1 ეროზიის კოეფიციენტის განაწილების სქემა ................................................................... 40

# სიმბოლოთა განმარტება

| სიმბოლო | განმარტება | განზომილება |
|---|---|---|
| **მზდ** | მეტრი ზღვის დონიდან | |
| $Q_{საშ.}$ | წყლის მრავალწლიური საშუალო ხარჯი | მ$^3$/წმ |
| **F** | ხევის/მდინარის წყალშემკრები აუზის ფართობი | კმ$^2$ |
| **K** | კოეფიციენტი | |
| **n** | წლების რაოდენობა | |
| **Cv** | ვარიაციის კოეფიციენტი | |
| **Cs** | ასიმეტრიის კოეფიციენტი | |
| **ESA** | ევროპის კოსმოსური სააგენტო | |
| $\varphi$ | აუზში არსებული ბალახეული საფარველის სიხშირე | |
| **T** | წამების რაოდენობა წელიწადში | წმ |
| **h** | ჩამონადენის ფენის სიმაღლე | მმ/წელი |
| **H** | წყალშემკრები აუზის საშუალო სიმაღლე | მ |
| $M_0$ | მრავალწლიური საშუალო ხარჯის ჩამონადენის მოდული | ლ/წმ კმ$^2$ |
| $K_რ$ | რაიონი (a და b) პარამეტრების მნიშვნელობებისათვის | |

# 1 კლიმატი და ჰიდროლოგია

## 1.1 მდინარე ივრის აუზის ზოგადი მიმოხილვა

მდინარე იორი სათავეს იღებს კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობზე ზღვის დონიდან ▼2640 მზდ სიმაღლეზე და ჩაედინება მინგეჩაურის წყალსაცავში.

მდინარის სიგრძე 320 კმ-ია, წყალშემკრები აუზის ფართობი 4650 კმ$^2$, აუზის საშუალო სიგანე 19.8 კმ.

მდინარის წყალშემკრებ აუზს ჩრდილოეთით ესაზღვრება კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთები, დასავლეთით და აღმოსავლეთით ბორბალოს მთიდან წამოსული განშტოებები ქართლის და კახეთის მერიდიანული ქედები, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისად წყალგამყოფებს: მდ. მტკვრის და იორის, ალაზნის და იორის აუზებს, სამხრეთით ქართლ-კახეთის ზეგანი. აუზი ასიმეტრიული ფორმისაა, აქვს რკალის მოყვანილობა და გაჭიმულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, მდინარეების ალაზნისა და მტკვრის აუზებს შორის ბორბალოს მთიდან ელდარის სტეპამდე.

წყალშემკრები აუზის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი (70%) მოდის 125-1000 მ სიმაღლეზე, უჭირავს მდინარის დინების ქვედა და შუა ნაწილი, ხოლო ტერიტორიის დანარჩენი ნაწილი (30%) მოდის 1000-2800 მ სიმაღლეზე.

აუზის რელიეფში გამოიყოფა გეომორფოლოგიური თვალსაზრისით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ორი ზონა. პირველი ზონა ჩრდილო-დასავლეთით, მაღალი და საშუალო სიმაღლის ქართლ-კახეთის ქედები, რომელთა სიმაღლეები მთელ სიგრძეზე მერყეობენ 2000-3276 მ შორის, დაბლდება 1000 მ სიმაღლემდე ქედების სამხრეთ დაბოლოებაზე. ეს ზონა ხასიათდება ხეობის მკვეთრი ეროზიული ფორმებით, დიდი დახრილობით 20-40$^0$ ”V” ფორმის მოყვანილობის ხეობებში, ტრაპეციულ ფორმის მონაკვეთში 8-15$^0$. შენაკადები გამოირჩევა ვიწრო და ღრმა ხეობებით, მდინარის შესართავებთან ძლიერი გამოტანის კონუსებით და შენაკადების დიდი სიმჭიდროვით.

მეორე ზონა მდებარეობს აუზის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იწყება სოფ. პალდოდან 10 კმ-ის ქვემოთ და წარმოდგენილია ბორცვოვანი ქედების გომბორისა და იალნო-საგუმაროს განშტოებით, უწყლო ფართე ზედაპირით, ტერასირებული და დაღარული მრავალი მშრალი ხევებით, რომლებიც მოქმედებენ მხოლოდ წვიმის პერიოდში, არაღრმა ქვაბულებით და მრავალი მარილიანი პატარა ტბებით. ვაკე-ბორცვოვან ივრის ზეგანზე არის ბედლენდები, ტალახიანი ვულკანები და ხელოვნური გამოქვაბულები.

მდინარე იორი გზას იკვლევს ქართლ-კახეთის, გარე-კახეთის, ივრის ზეგანს შორის და გადადის ელდარის უწყლო ზეგანზე. დინების მიმართულებით კვეთს რამდენიმე პლატოს: თიანეთის, ერწოს, სამგორის და გარე კახეთის.

მდინარე იორი სათავეში ტიპიური მთის მდინარეა ვიწრო ღრმა ხეობით, რომლის სიგანე სათავეში 3 მ-ია და ფართოვდება დინების მიმართულებით 40 მ-მდე. კალაპოტი მთლიანად უჭირავს წყლის ნაკადს. ხეობა ”V” - მოყვანილობისაა სოფელ თიანეთამდე და მდინარის ხეობა ფართოვდება შენაკადების შესართავებთან.

ხეობას პირველი შესამჩნევი გაფართოება სოფელ თიანეთთან აქვს, სადაც იორი კვეთს თიანეთის ქვაბულს და მას უერთდება მარჯვენა მხრიდან მდ. კუსნო. ქვაბული შექმნილია მრავალრიცხოვანი პატარა შენაკადების ეროზიით. მდინარე მოედინება ერთ კალაპოტში და მისი სიგანეა 40-50 მ. სათავედან სოფ. პალდომდე მდ. იორს უერთდება შენაკადები, რომელთა სიგრძე 10 კმ-ზე მეტია: ხაშრულა (12 კმ), საგომე (18 კმ), ქენო (16 კმ), აძეძი (15 კმ), გომბორი (13 კმ).

სოფელ ორხევის ქვემოთ ხეობა ფართოვდება მარჯვენა შენაკადის მდ. აძეძის შეერთების შემდეგ, რომელზედაც მდებარეობს ერწოს ქვაბული. ქვაბული ტენიანდება მრავალრიცხოვანი მთის პატარა შენაკადებით. მდინარე იორი მთელ ამ მონაკვეთზე მიედინება ერთ ტოტად, ზომიერად კლაკნილია და მისი ფერდობები დაფარულია ტყით.

სოფელ პალდოს ქვემოთ ხეობა ”V” ფორმის მოყვანილობისაა. მდ. ლაფიანისხევის შეერთებამდე ხეობის სიგანე 200-300 მ, ხეობის ციცაბო კალთები თანდათან დაბლდება და გადადის გარე-კახეთის ზეგანზე.

მდინარე შუა დინებაში იტოტება და მიედინება არა ღრმა ივრის ქვაბულში. ზოგ ადგილში მისი ხეობა არ არის გამოკვეთილი, მთელ ამ მანძილზე უერთდება, მხოლოდ ერთი მდ. მატაგალონი.

ზედა ზონის რელიეფის აგებულებაში მონაწილეობას იღებენ ქვიშა-ქვები, მერგელები, კირქვები, ბრექჩიები, პორფილიტებისა და კონგლომერატების შემცვლელობით, ხოლო მდინარის შუა და ქვემო დინება, დაბლობები და ზეგნები წარმოდგენილია თიხოვანი ნიადაგით, კონგლომერატებით და ალუვიური დანალექით.

მაღალმთიან და საშუალო სიმაღლის ზონაში გავრცელებულია მთა-მდელოს, მთა-ტყის ნეშომპალა კარბონატული ნიადაგი, საშუალო ზონაში ძირითადად ყავისფერი ნიადაგია. ქვედა ზონაში მდ. იორს მარცხენა მხარეს ზოლად გასდევს მონაცრისფრო, მარილის შემცველობის ნიადაგი. 200 მ-ის ზემოთ კახეთისა და ქართლის თხემებზე ვიწრო ზოლად გავრცელებულია ალპური მცენარეები, ხოლო ქვემოთ სუბალპური მცენარეები.

აუზის შუა და ქვედა ნაწილი ხასიათდება მრავალფეროვანი მცენარეებით. მდინარის ორივე ნაპირს მიუყვება ტყე. ქვედა დინებაში ცალკეულ უზნებზე სტეპების მცენარეულობა არის ქსეროფიტების შემადგენლობით. ელდარის სტეპზე შემორჩენილია ფიჭვის ტყის რელიქტი, რომელიც გვხდება ამიერკავკასიაში მხოლოდ აქ.

ძირითად ჰიდროგრაფიულ მახასიათებელს წარმოადგენს მდინარის მარჯვენა მხარეზე შენაკადების არარსებობა, იმ დროს როდესაც მარცხენა მხარის შენაკადები ქმნიან მრავალ დახრამულ ფერდობებს და შესართავებთან მყარი ნატანის გამოტანის კონუსებს.

კლიმატურ პირობებთან კავშირში მდინარის ქსელის სიხშირე მთელ აუზში არათანაბარია, ზედა ნაწილში, სადაც ნალექის სიუხვეა მდინარეთა ქსელი დიდია.

მდინარის ქვემო დინებაში, სადაც ნახევრად კონტინენტური კლიმატია შენაკადები საერთოდ არ არის.

მდინარე იორი შერეული საზრდოობის მდინარეა, რომლის კვებაში მონაწილეობას იღებს თოვლის, წვიმის და მიწისქვეშა წყალი. შუა და ქვედა დინებაში პირველ ხარისხოვან როლს ასრულებს მიწისქვეშა წყალი.

მდინარის რეჟიმი ხასიათდება: ზამთრის წყალმცირობით, გაზაფხულის წყალდიდობით, შემოდგომა-გაზაფხულის წყალმოვარდნებით. გაზაფხულის წყალდიდობა იწყება ქვედა დინებაში თებერვლის თვის ბოლოს, ხოლო ზედა დინებაში მარტის თვის შუა რიცხვებში. მაქსიმალური ხარჯი ძირითადად ყალიბდება მაის-ივნისის თვეებში. დონის კლება მიმდინარეობს ივლისის თვის ბოლომდე და ირღვევა აუზში მოსული ხანმოკლე წვიმით.

წყალმოვარდნები (ივლისი, ნოემბერი), რომელიც გამოწვეულია აუზში მოსული ინტენსიური წვიმით მეორდება ყოველწლიურად 3-6-ჯერ ხანგრძლივობით 2-დან 10 დღემდე. წყალდიდობის დონე ცალკეულ წლებში უტოლდება და ზოგჯერ აჭარბებს გაზაფხულის წყალდიდობის დონეს.

ზამთრის წყალმცირეობა (დეკემბერი-თებერვალი) მდგრადია მათი რყევადობა 0.1 მ აღწევს. ყველაზე დაბალი ხარჯი დაფიქსირებულია იანვრის თვის ბოლოს და თებერვლის თვის დასაწყისში. საშიში ჰიდროლოგიური მოვლენები მდინარეზე დაკვირვებული არ არის, მდინარის ჩამონადენი ხასიათდება წლის განმავლობაში არათანაბარი განაწილებით: გაზაფხულის თვეებში (მარტი, მაისი) წლიური ჩამონადენიდან მდინარეს ჩამოაქვს 41.2%, ზაფხულში ივნის-აგვისტოში თვეებში ჩამოედინება 30.9%, შემოდგომაზე სექტემბერ-ნოემბერის 17.2%, უმცირესი ჩამონადენით ხასიათდება ზამთრის პერიოდი (დეკემბერი-თებერვალი) და შეადგენს მთლიანი ჩამონადენის 10.7%.

მდინარის უდიდესი სიმღვრივე და მყარი ხარჯის ჩამონადენი დაკვირვების მრავალწლიური პერიოდის მონაცემებით დაკვირვებულია გაზაფხულის პერიოდში. მყარი ხარჯი იზომებოდა მხოლოდ ჰ/საგუშაგო ლელოვანში.

ყინულოვანი მოვლენები მდინარის ქვედა დინებაში იშვიათი შემთხვევაა, ის ლელოვანში შეადგენს 33 დღეს, ორხევთან 14 დღეს და სადახლოსთან 10 დღეს. იგი წარმოიქმნება დეკემბრის თვის მეორე ნახევარში და დნება მარტის პირველ რიცხვებში.

მდინარე იორი მიეკუთვნება ჰიდროკარბონატულ ჯგუფს, სადაც ჭარბობს $HCO_3$“ მლ/გ, Ca“, დანარჩენი იონების რაოდენობა უმნიშვნელოა.

მდინარის ბუნებრივი პირობები დარღვეულია 04.11.1951 წლიდან სიონის წყალსაცავის შექმნით, რომელიც კომპლექსურია წლიური რეგულირებით. მისი მთავარი დანიშნულებაა ენერგეტიკისა და ირიგაციის დაკმაყოფილება. მდინარე ასაზრდოებს 14 მაგისტრალურ არხს, რომელთა შორის ყველაზე მსხვილი ზედა და ქვედა სამგორის სარწყავი სისტემაა. ზედა მაგისტრალურ არხზე მოქმედებს სამი ჰიდროელექტროსადგური: სიონის, მარტყოფის და თეთრი ხევის.

# 2 მეთოდოლოგია და წყაროები

მდინარე იორის წყალშემკრები აუზის კლიმატური ელემენტების დასახასიათებლად გამოყენებულია მდინარის აუზში არსებული მეტეოროლოგიური სადგურების დაკვირვებული მრავალწლიური მონაცემები, რომელიც ამოღებულია საქართველოს კლიმატური ცნობარებიდან (გამოცემა 14) და სამშენებლო კლიმატოლოგიიდან.

მეტეოროლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურების სია სიმაღლეების მითითებით მოცემულია ცხრილში 2.1.

ცხრილი 2.1 იორის აუზში განლაგებული მეტეოროლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურები

| დასახელება | სიმაღლე, მზდ |
|---|---|
| ორხევი | 950 |
| სასადილო | 839 |
| გომბორი | 1085 |
| მარტყოფი | 770 |
| საგარეჯო | 802 |
| სამგორის წყალსაცავი | 549 |

სოფლების: პალდო, სართიჭალისა და ხაშმის კლიმატური ელემენტების მონაცემები, რომლებიც აღებულია მსოფლიო კლიმატური ორგანიზაციის ვებგვერდიდან https://en.climate-data.org.

ჰიდროლოგიური მახასიათებლების სიდიდეების დასადგენად გამოყენებულია:

გეოინფორმაციული სისტემები (GIS), რომელშიც დამუშავებულია 1:10 000 მასშტაბის ევროპის კოსმოსური სააგენტოს აეროფოტოგრაფიული რუკა

Л.А.Владимиров, Д.И.Шакаришвили, Т.И.Габричидзе ”Водный баланс Грузии” მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1974წ.

”Ресурсы поверхност вод СССР” Том 9 Ленинград 1969 გ. ნ. ხმალაძის რედაქციით

# 3 კლიმატი

მდინარე იორის წყალშემკრები აუზის კლიმატს განსაზღვრავს მაღალი მთათა სისტემა, რომელიც ჩრდილოეთით უწევს წინააღმდეგობას არქტიკული ცივი ჰაერის მასების შემოჭრას, სამხრეთ-აღმოსავლეთით უწყლო მშრალი სტეპები, აღმოსავლეთიდან კასპიის და დასავლეთიდან შავი ზღვის შესაბამისად ცივი ინვერსიული და ზომიერად თბილი ჰაერის გავლენა, აგრეთვე ვიწრო წაგრძელებული აუზის ფორმა, რაც ხელს უწყობს მთა-ხეობის ქარის წარმოქმნას.

კლიმატური ელემენტების დასახასიათებლად გამოყენებულია უშუალოდ მდინარის აუზში არსებული მ/სადგურზე დაკვირვებული მრავალწლიური მონაცემები.

წყალშემკრები აუზის კლიმატის დასახასიათებლად გამოყენებულია სოფლების: პალდო, სართიჭალისა და ხაშმის კლიმატური ელემენტების მონაცემები, რომლებიც აღებულია მსოფლიო კლიმატური ორგანიზაციის ვებგვერდიდან (https://en.climate-data.org).

კეპენ-გეიერის კლიმატის კლასიფიკაცია, ჰაერის წლიური საშუალო ტემპერატურა და ნალექის მაჩვენებელი მოცემულია ცხრილ 3.1-ში.

ცხრილი 3.1 კლიმატის კლასიფიკაცია, ჰაერის წლიური საშუალო ტემპერატურა და ნალექი

| დასახელება | პალდო | სართიჭალა | ხაშმი |
|---|---|---|---|
| კეპენ-გეიერის კლიმატის კლასიფიკაცია | Cfa | Cfa | Cfb |
| ჰაერის წლიური საშუალო ტემპერატურა, °C | 13.3 | 11.6 | 9.1 |
| ნალექის წლიური მაჩვენებელი, მმ | 620 | 1018 | 1018 |
| სადგურის მდებარეობა, ▼მზდ | 470 | 699 | 812 |

ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექის მონაცემები მოცემულია ცხრილ 3.2-ში.

### ცხრილი 3.2 კლიმატის დაკვირვებული მონაცემები

პალდო

| დასახელება/თვე | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საშ. ტემპერატურა (°C) | 1.5 °C | 3.1 °C | 7.3 °C | 12.3 °C | 17.4 °C | 22.3 °C | 25.5 °C | 25.8 °C | 20.5 °C | 14.2 °C | 7.4 °C | 2.7 °C |
| მინ. ტემპერატურა (°C) | -2.5 °C | -1.4 °C | 2.1 °C | 7.1 °C | 11.9 °C | 16.6 °C | 20.1 °C | 20.5 °C | 15.8 °C | 9.8 °C | 3.1 °C | -1.3 °C |
| მაქს. ტემპერატურა (°C) | 6.6 °C | 8.3 °C | 12.6 °C | 17.4 °C | 22.5 °C | 27.5 °C | 30.6 °C | 31.1 °C | 25.4 °C | 18.8 °C | 12.3 °C | 7.9 °C |
| საშ. ნალექი (მმ) | 23 | 29 | 52 | 83 | 99 | 76 | 52 | 43 | 48 | 55 | 36 | 24 |
| Humidity(%) | 70% | 69% | 66% | 68% | 68% | 60% | 54% | 50% | 61% | 71% | 74% | 72% |
| Rainy days (d) | 4 | 5 | 7 | 10 | 11 | 8 | 6 | 5 | 6 | 6 | 5 | 4 |

სართიჭალა

| დასახელება/თვე | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საშ. ტემპერატურა (°C) | 0 °C | 1.6 °C | 5.6 °C | 10.6 °C | 15.6 °C | 20.3 °C | 23.5 °C | 23.8 °C | 18.6 °C | 12.5 °C | 5.8 °C | 1.2 °C |
| მინ. ტემპერატურა (°C) | -4.1 °C | -3.1 °C | 0.2 °C | 5.1 °C | 10 °C | 14.4 °C | 17.7 °C | 18.1 °C | 13.7 °C | 7.9 °C | 1.3 °C | -2.9 °C |
| მაქს. ტემპერატურა (°C) | 5.2 °C | 6.7 °C | 11 °C | 15.8 °C | 20.8 °C | 25.6 °C | 28.8 °C | 29.3 °C | 23.7 °C | 17.3 °C | 10.9 °C | 6.4 °C |
| საშ. ნალექი (მმ) | 32 | 38 | 79 | 139 | 164 | 133 | 93 | 86 | 83 | 86 | 51 | 34 |
| Humidity(%) | 71% | 71% | 69% | 71% | 71% | 65% | 60% | 55% | 65% | 74% | 76% | 73% |
| Rainy days (d) | 4 | 5 | 9 | 12 | 13 | 10 | 9 | 8 | 8 | 8 | 5 | 5 |

ხაშმი

| დასახელება/თვე | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საშ. ტემპერატურა (°C) | -2.3 °C | -0.8 °C | 3.1 °C | 8.1 °C | 13.1 °C | 17.5 °C | 20.6 °C | 20.9 °C | 15.9 °C | 10.2 °C | 3.7 °C | -0.9 °C |
| მინ. ტემპერატურა (°C) | -6.8 °C | -5.6 °C | -2.2 °C | 2.5 °C | 7.5 °C | 11.7 °C | 15 °C | 15.3 °C | 11 °C | 5.6 °C | -0.8 °C | -5 °C |
| მაქს. ტემპერატურა (°C) | 2.9 °C | 4.3 °C | 8.5 °C | 13.4 °C | 18.2 °C | 22.7 °C | 25.8 °C | 26.3 °C | 21.1 °C | 15.1 °C | 8.9 °C | 4.4 °C |
| საშ. ნალექი (მმ) | 32 | 38 | 79 | 139 | 164 | 133 | 93 | 86 | 83 | 86 | 51 | 34 |
| Humidity(%) | 72% | 71% | 70% | 71% | 71% | 65% | 60% | 56% | 66% | 74% | 76% | 73% |
| Rainy days (d) | 4 | 5 | 9 | 12 | 13 | 10 | 9 | 8 | 8 | 8 | 5 | 5 |

ნალექის რაოდენობა ყველაზე მშრალ და ნალექიან თვეს შორის და საშუალო ტემპერატურის ცვლილება წლის განმავლობაში მოცემულია ცხრილ 3.3-ში.

### ცხრილი 3.3 ნალექისა და ტემპერატურის ამპლიტუდა

| დასახელება | პალდო | სართიჭალა | ხაშმი |
|---|---|---|---|
| ნალექის რაოდენობის ამპლიტუდა, მმ | 76 | 132 | 132 |
| ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილება, °C | 24.3 | 23.8 | 23.8 |

კლიმატური დიაგრამები მოცემულია ფიგურა 3.1-ზე, ხოლო ტემპერატურის გრაფიკები ფიგურა 3.2-ზე.

**ფიგურა 3.1 კლიმატური დიაგრამა**

| პალდო | სართიჭალა | ხაშმი |
|---|---|---|
|  |  |  |

ყველაზე მშრალი თვე, რომლის დროსაც ფიქსირდება ნალექის ყველაზე მინიმალური რაოდენობა და ყველაზე დიდი რაოდენობის ნალექი მოსვლის თვე და რაოდენობა მოცემულია ცხრილ 3.4-ში.

**ცხრილი 3.4 ყველაზე მშრალი და უხვნალექიანი თვე და რაოდენობა**

| დასახელება | პალდო | სართიჭალა | ხაშმი |
|---|---|---|---|
| ყველაზე მშრალი თვე | იანვარი | იანვარი | იანვარი |
| ნალექის რაოდენობა, მმ | 23 | 32 | 32 |
| უხვნალექიანი თვე | მაისი | მაისი | მაისი |
| ნალექის რაოდენობა, მმ | 99 | 164 | 164 |

ფიგურა 3.2 ტემპერატურის გრაფიკი

| პალდო | სართიჭალა | ხაშმი |
|---|---|---|
|  |  |  |

თვე და ტემპერატურის სიდიდე ყველაზე მაღალი და დაბალი ტემპერატურის დროს მოცემულია ცხრილ 3.5-ში.

ცხრილი 3.5 თვე და სიდიდე, მაღალი და დაბალი ტემპერატურის დროს

| დასახელება | პალდო | სართიჭალა | ხაშმი |
|---|---|---|---|
| ყველაზე მაღალი ტემპერატურა, თვე | აგვისტო | აგვისტო | აგვისტო |
| ტემპერატურა, °C | 25.8 | 23.8 | 20.9 |
| ყველაზე დაბალი ტემპერატურა, თვე | იანვარი | იანვარი | იანვარი |
| ტემპერატურა, °C | 1.5 | 0.0 | -2.3 |

## 3.1 ჰაერის ტემპერატურა

იორის აუზში ჰაერის თვიური და წლიური საშუალო, აბსოლუტური მინიმალური და მაქსიმალური ტემპერატურა მოცემულია ცხრილებ 3.6, 3.7 და 3.8-ში

ცხრილი 3.6 ჰაერის ყოველთვიური და წლიური საშუალო ტემპერატურა, °C

| დასახელება | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | ave |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გომბორი | -2.6 | -1.7 | 1.7 | 7.1 | 12.1 | 15.7 | 18.3 | 18.6 | 14.3 | 9.6 | 4.0 | -0.1 | 8.1 |
| მარტყოფი | -1.1 | 0.0 | 3.7 | 9.3 | 14.6 | 18.3 | 21.6 | 21.7 | 17.2 | 11.9 | 5.5 | 1.4 | 10.3 |
| საგარეჯო | -0.1 | 1.1 | 4.6 | 10.1 | 15.4 | 19.0 | 22.0 | 21.8 | 17.3 | 12.1 | 6.3 | 2.0 | 11.0 |
| სამგორის წყალსაცავი | 0.3 | 1.6 | 5.2 | 10.4 | 15.8 | 19.6 | 23.2 | 23.3 | 18.9 | 13.6 | 7.1 | 2.5 | 11.8 |

### ცხრილი 3.7 ჰაერის ყოველთვიური და წლიური უმცირესი აბსოლუტური ტემპერატურა, °C

| დასახელება | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | min |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გომბორი | -27.0 | -19.0 | -18.0 | -9.0 | -4.0 | 2.0 | 4.0 | 4.0 | -4.0 | -9.0 | -13.0 | -24.0 | -27.0 |
| მარტყოფი | -25.0 | -17.0 | -16.0 | -6.0 | -1.0 | 5.0 | 7.0 | 7.0 | -1.0 | -6.0 | -10.0 | -21.0 | -25.0 |
| საგარეჯო | -24.0 | -18.0 | -15.0 | -6.0 | -1.0 | 6.0 | 7.0 | 7.0 | -1.0 | -6.0 | -10.0 | -21.0 | -24.0 |
| სამგორის წყალსაცავი | -22.0 | -14.0 | -14.0 | -5.0 | 0.0 | 7.0 | 9.0 | 9.0 | 2.0 | -4.0 | -7.0 | -19.0 | -22.0 |

### ცხრილი 3.8 ჰაერის ყოველთვიური და წლიური უდიდესი აბსოლუტური ტემპერატურა, °C

| დასახელება | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | მაქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გომბორი | 17.0 | 18.0 | 23.0 | 27.0 | 30.0 | 34.0 | 34.0 | 35.0 | 33.0 | 30.0 | 25.0 | 18.0 | 35.0 |
| მარტყოფი | 16.0 | 19.0 | 26.0 | 28.0 | 31.0 | 35.0 | 36.0 | 38.0 | 35.0 | 31.0 | 26.0 | 22.0 | 38.0 |
| საგარეჯო | 19.0 | 21.0 | 27.0 | 30.0 | 32.0 | 36.0 | 36.0 | 38.0 | 35.0 | 31.0 | 26.0 | 22.0 | 38.0 |
| სამგორის წყალსაცავი | 16.0 | 20.0 | 27.0 | 30.0 | 33.0 | 37.0 | 38.0 | 38.0 | 36.0 | 31.0 | 25.0 | 19.0 | 38.0 |

ჰაერის უარყოფითი ტემპერატურა მოსალოდნელია 9 თვის განმავლობაში, მხოლოდ სამ თვეშია დადებითი.

ყინვის დაწყებისა და დამთავრების საშუალო, პირველი და ბოლო თარიღი, უყინვო დღეთა რაოდენობა მოცემულია ცხრილ 3.9-ში.

### ცხრილი 3.9 ყინვიანი დღეების დაწყება და დამთავრება

| დასახელება | ყინვიან დღეთა თარიღი | | | | | | უყინვო დღეთა რაოდენობა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დამთავრება | | | დაწყება | | | | | |
| | საშ. | პირველი | ბოლო | საშ. | პირველი | ბოლო | საშ. | უმცირესი | უდიდესი |
| გომბორი | 20.04 | 15.03 | 10.05 | 24.10 | 26.09 | 25.11 | 186 | 150 | 230 |
| მარტყოფი | 09.04 | | | 09.11 | | | 213 | | |
| საგარეჯო | 04.04 | | | 13.11 | | | 222 | | |
| სამგორის წყალსაცავი | 01.04 | | | 17.11 | | | 229 | | |

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყინვის დაწყების საშუალო თარიღი მ/სადგური გომბორის მონაცემების მიხედვით - 24 ოქტომბერია, ნაადრევი 26 სექტემბერი და ნაგვიანევი 25 ნოემბერი.

## 3.2 ატმოსფერული ნალექი

ატმოსფერული ნალექის განაწილება თვეების მიხედვით და წლიური ჯამი მოცემულია ცხრილ 3.10-ში.

**ცხრილი 3.10 თვიური და წლიური ატმოსფერული ნალექი, მმ**

| დასახელება | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | წლიური |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ორხევი | 42 | 51 | 56 | 76 | 118 | 105 | 70 | 56 | 60 | 53 | 46 | 35 | 768 |
| სასადილო | 27 | 37 | 51 | 63 | 94 | 83 | 57 | 33 | 49 | 54 | 46 | 25 | 619 |
| გომბორი | 32 | 45 | 68 | 83 | 126 | 109 | 75 | 43 | 64 | 71 | 59 | 32 | 807 |
| მარტყოფი | 30 | | 50 | 71 | 112 | 95 | 62 | 47 | 56 | 57 | 51 | 34 | |
| საგარეჯო | 38 | 52 | 71 | 87 | 133 | 116 | 79 | 46 | 68 | 76 | 63 | 36 | 865 |
| სამგორის წყალსაცავი | | | | 64 | 102 | 86 | 57 | 42 | 51 | 52 | 48 | 35 | |

მოცემული ცხრილიდან ჩანს ატმოსფერული ნალექი მერყეობს 865 მმ-დან (საგარეჯო) 619 მმ-მდე (სასადილო). ნალექის სიუხვით გამოირჩევა მაისის თვე, ხოლო სიმცირით დეკემბრის თვე. ნალექის უდიდესი ნაწილი მოდის თბილ პერიოდზე (IV-X), ხოლო უმცირესი - ზამთრის თვეებზე (XI-III).

## 3.3 ჰაერის სინოტივე

წყლის ორთქლის დრეკადობა, შეფარდებითი სინოტივე და სინოტივის დეფიციტი მოცემულია ცხრილებ 3.11, 3.12, 3.13-ში.

**ცხრილი 3.11 წყლის ორთქლის დრეკადობა, ჰპა.**

| დასახელება | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გომბორი | 4.2 | 4.3 | 5.2 | 7.4 | 10.9 | 13.7 | 16.2 | 15.4 | 12.6 | 8.9 | 6.4 | 4.7 | 9.2 |
| საგარეჯო | 4.6 | 4.7 | 5.6 | 8.3 | 12.0 | 14.6 | 16.9 | 16.0 | 13.6 | 10.1 | 7.1 | 5.2 | 9.9 |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამგორის წყალსაცავი | 5.0 | 5.2 | 5.9 | 8.5 | 12.2 | 14.6 | 16.8 | 16.3 | 13.8 | 10.7 | 8.1 | 5.7 | 10.2 |

**ცხრილი 3.12 ფარდობითი სინოტივე, %.**

| დასახელება | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გომბორი | 75 | 75 | 76 | 72 | 74 | 74 | 75 | 73 | 74 | 79 | 78 | 74 | 75 |
| საგარეჯო | 71 | 69 | 69 | 68 | 69 | 66 | 64 | 63 | 70 | 75 | 76 | 72 | 69 |
| სამგორის წყალსაცავი | 74 | 72 | 71 | 66 | 68 | 64 | 59 | 58 | 65 | 73 | 77 | 75 | 69 |

**ცხრილი 3.13 სინოტივის დეფიციტი, ჰპა.**

| დასახელება | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გომბორი | 1.6 | 1.7 | 2.0 | 3.5 | 4.5 | 5.4 | 6.3 | 6.8 | 4.2 | 2.9 | 2.2 | 2.0 | 3.6 |
| საგარეჯო | 2.2 | 2.6 | 3.1 | 4.9 | 6.4 | 8.6 | 10.6 | 10.8 | 6.9 | 4.2 | 2.8 | 2.5 | 5.5 |
| სამგორის წყალსაცავი | 2.0 | 2.3 | 3.1 | 5.1 | 6.9 | 9.7 | 12.9 | 13.0 | 8.7 | 4.9 | 2.8 | 2.1 | 6.1 |

წყლის ორთქლის დრეკადობა თანხვედრილია ჰაერის ტემპერატურის მსვლელობასთან. შეფარდებითი სინოტივე დაბალია ზაფხულის თვეებში (ივლისი, აგვისტო), მაღალია ზამთრის თვეებში.

თოვლის საფარის წარმოქმნის და აღების თარიღები მოცემულია ცხრილ 3.14-ში.

**ცხრილი 3.14 თოვლის საფარი**

| დასახელება | თოვლის საფარის დღეთა რაოდენობა | თოვლის საფარის წარმოქმნის თარიღი | | | თოვლის საფარის აღების თარიღი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საშუალო | ნაადრევი | ნაგვიანები | საშუალო | ნაადრევი | ნაგვიანები |
| გომბორი | 74 | 29.11 | 13.10 | 01.01 | 20.05 | 29.04 | 11.06 |
| საგარეჯო | 41 | 10.12 | 22.10 | 8.02 | 19.03 | 26.01 | 19.04 |
| სამგორის წყალსაცავი | 19 | 29.12 | | | 11.03 | | |

